 დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

HISTORICAL-ARCHITECTURAL MUSEUM OF DADIANI PALACES

1921

2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში

• შემოსავალი, სტუმართა რაოდენობა და მათი სტრუქტურა:

ჯამური შემოსავალი:	**289602** (ორასოთხმოცდაცხრაათას 602 ლარი)
საგანმანათლებლო პროგრამები:	**42609** (ორმოცდაორიათას 609 ლარი)
საქორწილო, ხელმოწერის ცერემონია და ფოტოსესია	**12292** (თორმეტიათას 292 ლარი)
მუზეუმის სუვენირების და წიგნების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	**6651** (ექვსიათას 651 ლარი)

*ჯამური შემოსავალი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებას.

დამთვალიერებელთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით:

სტანდარტული	17 496 (ჩვიდმეტიათას 496) სტუმარი
საქართველოს სამხედრო მოსამსახურე	57 (ორმოცდაჩვიდმეტი) სტუმარი
მოსწავლე/სტუდენტი	20 952 (ოცდათას 952) სტუმარი
უცხოელი	8604 (რვაათას 604) სტუმარი
იძულებით გადაადგილებული პირები	853 (რვაასორმოცდაცამეტი) სტუმარი
სოციალურად დაუცველები	455 (ოთხასორმოცდათხუთმეტი) სტუმარი
შშმ პირი	60 (სამოცი) სტუმარი
ჯამი:	**48 477 (ორმოცდარვაათას 477) სტუმარი**

სტუმართა ჯამი **არ შეიცავს საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეებს.

საგანმანათლებლო პროექტები:

დამსწრეთა რაოდენობა	**7646** (შვიდიათას 46) მონაწილე
მიღებული ჯგუფების რაოდენობა	**397** (სამასოთხმოცდაჩვიდმეტი) ჯგუფი

ჩატარებული ექსკურსიების რაოდენობა:

ქართულ ენაზე:	**2785** (ორიათასშვიდას 85) ექსკურსია
ინგლისურ ენაზე:	**306** (სამასექვსი) ექსკურსია
რუსულ ენაზე:	**760** (შვიდასსამოცი) ექსკურსია
ჯამი:	**3851** (სამიათასრვაა 51) ექსკურსია

ანალიტიკა

შემოსავლები:
2022 წელს მიღებული შემოსავალი მუზეუმის ისტორიაში იყო რეკორდული და შეადგინა 194403 (ასოთხმოცდაოთხიათას 403) ლარი. 2022 წლის შემოსავალი 2023 წელს **გაზრდილია 49%-ით**.

სტუმართა რაოდენობა:
2022 წელს სტუმართა რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამების ჩათვლით მუზეუმის ისტორიაში იყო რეკორდული და შეადგინა 49118 (ორმოცდაცხრაათას 118) სტუმარი. 2022 წლის სტუმართა რაოდენობა 2023 წელს **გაზრდილია 14%-ით.**

მუზეუმის მაღაზია:
სუვენირების და წიგნების გაყიდვებით მიღებული შემოსავალი, მუზეუმის ჯამური შემოსავლის 2,3%-ს შეადგენს. აუცილებელია მუზეუმის სუვენირების და წიგნების გაყიდვების ზრდაზე მუშაობა.

საგანმანათლებლო პროგრამები:
2022 წელს საგანამნათლებლო პროგრამებს დაესწრო 7596 (შვიდიათას 596) მოსწავლე. 2022 წლის შედეგი უმნიშვნელოდ არის გაზრდილი. ზრდა 1%-ზე ნაკლებია. გასათვალისწინებელია, რომ 2022 წელს პროგრამები 1 მარტიდან დაიწყო მუზეუმში, 2023 წელი სრულად მუშაბდო ყველა საგანამანათლებლო პროგრამა. მუზეუმის საგანამანათლებლო პროგრამების მიმართულების ზრდის პოტენციალი არსებობს თუ მუზუემი სრულიად ახალ პროექტებს შესთავაზებს მოსწავლეებს. სკოლის პედაგოგთა გამოკითხვით დადგინდა, რომ მუზეუმის მხრიდან საჭიროა განახლებული და სკოლის სასწავლო პროგრამასთან მიახოლებული პროექტების შემუშავება. ამ მიმართლებით 2024 წლის იანვრიდან დაწყებულია მუშაობა და მზადდება ორი ახალი პროექტი, რომელიც 9 თებერვლიდან 2024 წლის დაანონსდება. ასევე დაგეგმილი გვაქვს ყოველი თვის დასაწყისში ახალი თემათიკის პროექტების პრეზენტაცია.

ფოტოსესია, ხელმოწერის ცერემონია და ღონისძიებები:
2023 წელს მუზეუმმა მომხმარებელს შესთავაზა ორი ახალი მომსახურება: საქორწილო ფოტოსესია დედოფლისეულ და უფლისწულის სასახლეებში და ფოტოსესია სკოლის მოსწავლეებისათვის (ბოლო ზარის დროს რამოდენიმე სკოლამ მოგვმართა განცხადებით, რის შემდეგ ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება დაემატებინა ფოტოსესია მოსწავლეთათვის.) 2023 წელს ჯამური შემოსავლის 4,3 % შეადგინა ფოტოსესიებიდან, ხელმოწერის ცერემონიით და სამეჯლისო დარბაზში ღონისძიებების გამართვით მიღებულმა შემოსავალმა. ზრდის პოტენციალი ამ მიმართულებით არსებობს, ვინაიდან აღნიშნული შემოსავალი მიღებულია ყოველგვარი მარკეტინგული კამპანიის გარეშე. 2023 წლის დეკემბრიდან დავიწყეთ ფოტოსესიის სოციალურ ქსელში რეკლამები და მკვეთრად გაიზარდა ამ მიმართულებით მოთხოვნა, დაგეგმილია 2024 წელს სხვა არასტანდარტული მომსახურების მარკეტინგული კამპანიის დაწყება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ უფლისწულის სასახლის სამეჯლისო დარბაზში და მუზეუმის წინ მდებარე პარკში **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია** წელიწადში რამოდენიმე ღონისძიების გამართვას ითხოვს. ვიანიდან ღონისძიებისათვის პარკის ან დარბაზის გამოყენება ფასიანია, მუნიციპალიტეტმა 2024 წლის ბიუჯეტში 20 000 (ოცი ათასი) ლარი გამოყო დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული

მუზეუმის დაფინანსებისათვის, რაც გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტმა წინასწარ გაითვალისწინა 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯი.
გამოყოფილი თანხით დაგეგმილია მუზეუმის ორენოვანი (ქართულ /ინგლისური) გზამკვლევის დაბეჭდა. გზამკვლევის ელექტრონული ვერსია მზად არის, საჭიროა მხოლოდ ინგლისური ტექსტების რედაქტირება.

ფონდები და ექსპონატები:

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 2023 წელი დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ისტორიაში ფონდსაცავების რეაბილიტაციის მიმართულებით იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ოცდამეერთე საუკუნეში. დედოფლისეულ სასახლეში, ფონდსაცავებს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. განახლდა და პირვანდელი სახით აღდგა კარ-ფანჯრები (მეტალოპლასმასის ფანჯრები ჩანაცვდა ხის ფანჯრებით) , კედლებს დაუბრუნდა პირვანდელი სახე, მუშაობის პროცესში აღმოჩენილია და შენარჩუნებული სასახლის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ფრაგმენტები (ბუხრები, თაროების, ფანჯრის და კარის აგურის წყობა) , ბეტონის იატაკი განახლდა და დაიგო ხის იატაკი, შეიცვალა ფონდსაცავებში შესასვლელი მთავარი კარები, რომელიც იყო ხეზე გადაკრული ალუმინის ფირფიტით გამაგრებული, ახალი კარების სრუალად მეტალის არის და ცეცხლგამძლეა. დამონტაჟდა თანამედროვე ხანძარსაწინაარმდეგო და წინასწარი შეტყობინების სისტემა, ყველა ფონდში დამონტაჟდა ვიდეო კამერები და თანამედროვე უსაფრთხოების სისტემა (მოძრაობის, ხმის და მსხვრევის დეტექტორები). პროექტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების გრანტის ფარგლებში კულტურის , სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს პატრონაჟით. გრანტის პროექტის ავტორი გახლავთ ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმი.

ამავე გრანტის ფარგლებში მუზეუმში დაცულ 300-ზე მეტ ექპონატს უტარდება ან ჩაუტარდა რესტავრაცია - კონსერვაცია. თქვენწინაშეა მხოლოდ რამოდენიმე ექპონატის ფოტო:

პირველხარისხოვანი ავეჯი

ნივთები სიწმინდეებით



ასევე აღნიშვნის ღირსია ეკატერინე დედოფლის როიალი, რომელიც მამამ, ალექსადრე ჭავჭავაძემ უსახსოვრა. როიალი მუზემში 40-წელიწადზე მეტია დედოფლის მემორიალურ ხსოვნას ინახავს და მხოლოს ექსპონატის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ კუტურის

სამინისტროს და მუზეუმის მეგობართა კლუბის თანადგომით შესაძლებელი გახდა როიალის სრული რესტავრაცია. დღეს როიალი სრულად რესტავრირებულია **რესტავრატორ როლანდ მელქაძის** მიერ და ფუნქციონირებს.

საანგარიშო პერიოდში (2023 წელი) დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდები შეივსო 152 სხვადასხვა სახის და ღირებულების ექსპონატით, რომლებიც შემდგომ გადანაწილდა შესაბამის ფონდებში, სახელდობრ არქეოლოგიის ფონდს შეემატა ნუმიზმატიკური მასალა, ასევე შეივსო ხელნაწერთა, ყოფა-ეთნოგრაფიის და სახვითი ხელოვნების ფონდები.

იყო შემოწირულობები: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, ძეგლთა დაცვის განყოფილების თანამშრომელმა, **არქეოლოგმა გოგიტა ჩიტაიამ** ხელნაწერთა ფონდს შესწირა XIX საუკუნის მე-2 ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ხელნაწერი მასალები.

ქუთაისის ფოტო კინო-მატიანეს **მუზეუმის დირექტორმა ანზორ ობოლაძემ** 4 მელხიორის, მოვერცხლილი დანა-ჩანგალი, ნიკო დადიანის მეუღლის, მერი ადლერბერგის ნაქონი, რომელზეც დატანილია სამთავრო გვირგვინი და მონოგრამა.

მნიშვნელოვანია საფრანგეთში მოღვაწე, წარმოშობით ქართველის **თამარ დე ლეტე ვაჩნაძის ნამუშევრები**, რომლის მემკვიდრეობა საქართველოში 2022 წელს დაბრუნდა, ფაქტობრივად ფართო საზოგადოებისთვის ის მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი. ხოლო მიმდინარე წელს საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმმა დადიანების მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა **თამარ დე ლეტე ვაჩნაძის 16 ნამუშევარი**.

სპეციალურად დადიანების მუზეუმისთვის საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით და ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმის მხარდაჭერით, ამავე საასახლის **მხატვარ - რესტავრატორმა არტემ ანტანოსმა** შექმნა **დავით დადიანის პორტრეტის სამუზეუმო ასლი, ორიგინალიდან,** რომელიც დაცულია საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის **ხელოვნების მუზეუმში.**

ასევე მნიშვნელოვანი შემოწირულობაა **ბრუნო ვეფხვაძის** ავტორობით შესრულებული **ლევან მეორე დადიანის ფერწერული ტილო.** ლევან მეორე დადიანის პორტრეტი ერთაერთია სამუზეუმო კოლექციაში.

საბიბლიოთეკო ფონდი გაიზარდა 184 ერთეულით (176 წიგნი და რვა პერიოდული გამოცემა) აქედან 9 წიგნი შეძენილ იქნა მუზეუმის მიერ, რვა ჟურნალი საჩუქრად შემოვიდა მუზეუმის შემომწირველებისგან.

2023 წლის განმავლობაში სამკითხველო დარბაზი აქტიურად ემსახურებოდა ქვეყნის მასშტაბით მეცნიერებსა და მკვლევარებს, მუზეუმში დაცული სხვადასხვა სახის მასალებით, იქნებოდა ეს წიგნადი ფონდი თუ ხელნაწერთა, არქეოლოგიის თუ ყოფა-ეთნოგრაფიის.

საანგარიშო პერიოდში, ნიკოსეულ სასახლეში გაიმართა შვიდი დროებითი და ერთი მუდმივ მუდმივმოქმედი გამოფენა, სახელწოდებით „უფლისწულის გალერეა "სადაც აქტიურად იყვნენ ჩართული ფონდის მცველები, მერაბ ქვაჩახია -არქეოლოგიის ფონდი, სახვითი ხელოვნება-ფერიდე აფაქიძე, გამოყენებითი ხელოვნება-მზისადარ ჭაფანძე, ყოფა-ეთნოგრაფია- ლალი ჭითანავა, საბიბლიოთეკო ფონდი-დალი გულხადარაშვილი.

ამასთანავე მიმდინარეობს საქართველოს მუზეუმების საინფორმაციო სისტემაში egmc.gov ge-ში ექსპონატთა გატარება, სულ დარეგისტრირდა 263 ერთეული.

სისტემატურად ხდება მუზეუმში დაცული მასალების პოპულარიზაცია, FB გვერდზე, სადაც იდება თანამშრომელთა პუბლიკაციები და მცირე სტატიები მუზეუმში დაცული ექპონატების შესახებ.

მიმდინაეე წელს ორი ფონდის მცველი მოხსენებით წარსდგა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე. ფერიდე აფაქიძე-(სახვითი ხელოვნების ფონდი და მზისადარ ჭაფანძე-გამოყენებითი ხელოვნების ფონდი.) თემებით:

1. სამეგრელოს მონასტრებში დაცული სიწმინდეები (მარტვილი-ნახარებაო) მ.ჭაფანძე.

2.სამეგრელო და აშილ მიურატი - ფ. აფაქიძე

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში სერგი მაკალათიას 130 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომათა კრებულში დაიბეჭდა ორი ნაშრომი:

1 "სამეგრელოში მოღვაწე ოსტატები"- ფ.აფაქიძე.

2.„წერილებში ასახული გიორგი ნიკოს ძე დადიანისა და დიმიტრი ყიფიანის ურთიერთობა"- ლ.ჭითანავა

გამოფენები:

2023 წლის 29 იანვარს ნიკოსეულის სასახლის სამეჯლისო დარბაზში **გაიხსნა გამოფენა „რაინდთა დარბაზი".** გამოფენილი იყო ფოტო, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ფონდებში დაცული მასალები. გამოფენის ანონსი და ფოტო მასალა იხილეთ აქ.

2023 წლის 17 მარტს ნიკოსეული სასახლის სამეჯლისო დარბაზში **გაიხსნა გამოფენა „ცხენის კულტი და ცხენოსნობა სამეგრელოში"** . თითქმის ყველა ფონდიდან გამოვიდა მასალა და **მას მიეძღვნა კონფერენცია სახელწოდებით „ცხენოსნობა სამეგრელოში"**, სადაც მონაწილეობა მიიღეს ფონდის მცველებმა და მოწვეულმა სტუმარმა, ზუგდიდის სპორტის მუზეუმის წამყვანმა სპეციალისტმა. გამოფენის ანონსი და ფოტო მასალა იხილეთ აქ.

2023 წლის 14 აპრისლ ,დედოფლისეული სასახლის, დადიანების ოჯახის მემორიალურ საგამოფენო სივრცეში განახლდა ექსპოზიცია. კერძოდ, პირველ დარბაზში ექსპონირებული ფოტო კოლექცია განახლდა და ორიგინალი ფოტო ექსპონატები შევიდა საცავში (სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის ინსტრუქციის შესაბამისად), გამოფენაში დარჩა ასლები.

2023 წლის 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უფლისწულ ნიკო დადაიანის სასახლის სამეჯლისო დარბაზში გაიხსნა გამოფენა **,,ქსოვილით გაცოცხლებული ისტორია."** დეტალები შეგიძლიათ იხილოთ აქ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით **2023 წლის 1 ივნისს,** ბოტანიკურ ბაღში მუზეუმმა მოაწყო კუთხე, გამოფენა - თემით ,,მუზეუმი ბავშვებს'', სადაც ბავშვებმა იხილეს სამეგრელოს ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები. გაეცნენ მუზეუმში ექსპოზიციის დაგეგმვის პროცესს და ჩანახატების, მუზეუმის ძველი გამოფენების ესკიზების კოლექციას გაეცნენ. ასევე ბავშვებს შესაძლებლობა ქონდათ წარწერის პირები აეღოთ და გადაეტანათ პოლიეთილენის პარკზე. ექსპონატად გამოყენებული იყო ქვა, არქეოლოგიის კოლექციიდან 17-საუკუნის წარწერით, სადაც

აღწერილია მიწისძვრის შედეგად მონასტრის დანგრევის და შემდგომ ისევ აშენების ფაქტი. დეტალები შეგიძლიათ იხილოთ აქ .

2023 წლის 5 აგვისტოს, 17.00 საათზე, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის სამეჯლისო დარბაზში გაიხსნა გამოფენა - "თავისუფლების ილუზია..."
დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცულია XX საუკუნის ქართველი მხატვრების სხვადასხვა ჟანრისა და მიმდინარეობის ნამუშევრები: ფერწერა, გრაფიკასა და გრავიურაში.
გამოფენის სახელწოდება - ,,თავისუფლების ილუზია...", სრულიად ესადაგება მათ ნაფიქრ-ნააზრევს; მხატვართა თავისუფლება ჩანს თითოეული ნამუშევრის შექმნისას, ეს იქნება პორტრეტული ჟანრის, ნატურმორტისა თუ პეიზაჟის შესრულება. იმპრესიონიზმის, კუბიზმის, ავანგარდის გავლენაა და მაინც დომინირებს რეალიზმი, იგრძნობა, რომ წესების დაცვის ვალდებულება არსებობს. სწორედ ასეთ ინდივიდუალიზმთან მებრძოლ გარემოში, საკუთარი ხელწერის ჩამოყალიბება შეძლეს ერთეულებმა. სტალინური დიქტატისგან გათავისუფლებული ხელოვნება, თითქოს იძლევა ილუზიას, რომ შემოქმედებითი თავისუფლების ეპოქა დადგა, მაგრამ როგორც ლეოპოლდ ძაძამიძის ფერწერის აღწერისას ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი ნინო ხუნდაძე ამბობს, „შეუძლებელი ბოლომდე შესაძლებელი ვერ გახდა", აქ მთავარი სიტყვაა „ბოლომდე".
სამწუხაროა, რომ ბევრი ვერ მოესწრო 1991 წელს, როდესაც შეუძლებელი რამ ფაქტად იქცა და არამარტო შემოქმედებითი, არამედ მთავარი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ვიზეიმეთ.

2023 წლის 25 აგვისტოს, 18.00 საათზე, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეში, რეაბილიტაციის შემდეგ გაიხსნება მუდმივი ექსპოზიციის დარბაზები, გამოფენით -„უფლისწულის გალერეა".
გამოფენა სრულიად მიეძღვნა უფლისწულ ნიკო დადიანს. გამოიფინა რესტავრირებული, გაცოცხლებული უნიკალური ექსპონატები, ევროპული კულტურის უიშვიათესი ნიმუშები, ფაიფური, ფრაჟე, ძვლის სუვენირები, შანდლები, საწერი მაგიდის მოწყობილობები, დადიანების უნიკალური ბიბლიოთეკის ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია XIX საუკუნის ფრანგული, ინგლისური, იტალიური და გერმანული სამეცნიერო-მხატვრული ლიტერატურა. ასევე, ევროპელი მხატვრების მიერ შესრულებული ფერწერის, გრაფიკის, გრავიურის ნიმუშები.

2023 წლის 17 სექტემბერს დადიანების სასახლეთა წინ მდებარე პარკში, ზუგდიდობის დღესთან დაკავშირებით მოეწყო ფოტო ასლების გამოფენა სახელწოდებით „მუზეუმის ისტორია" .

2023 წლის 20 სექტემბერს, უფლისწულის სასახლის სვეტებიან დარბაზში, ავსტრიის საელჩოს და ,,მშვიდობის ინსტიტუტი პროგრესისთვის" ინიციატივით, მშვიდობის დარგში, ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის, **ბერტა ფონ ზუტნერისადმი** მიძღვნილი გამოფენა **"ბერტა ფონ ზუტნერის დაბრუნება დადიანების სასახლეში"** გაიხსნა.

2023 წლის 20 დეკემბერს უფლისწულის სასახლის სამეჯლისო დარბაზში საახალწლოდ გამოფენა **„საშობაო მეჯლისი უფლისწულის სასახლეში" განხოციელდა,** რომელიც რესტავრირებული როიალის პრეზენტაციით გაიხსნა. როიალზე დაუკრა - **პაატა ანდრიაძემ,** ვოკალი - **ელენე ფოჩხუა** ; კონტრაბასი - **ნოდარ ექვთიმიშვილი.**

ჩატარებული ღონისძიებები:

1. **2023 წლის 22 აპრილს** დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის საგამოფენო დარბაზში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ჟურნალ "ივერიელნი"-ს შემოქმედებითი ჯგუფის ინიციატივით გაიმართა წიგნი-ალბომი "ოდაბადეს" პრეზენტაცია.
2. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი შეუერთდა სამუზეუმო პრემიების დაწესებას, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. კულტურის სამინისტრომ, სამუზეუმო პრემიები პირველად გასცა და ასევე პირველად გადასცა მადლობის სიგელები მუზეუმის შემომწირევლებსა და სპონსორებს. დადიანების სასახლეთა მუზეუმის, **აკაკი ჭანტურიას სახელობის პრემია, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებისა და უნიკალური სამუზეუმო კოლექციების შექმნისათვის გადაეცა ისტორიკოს გივი ელიავას** (გარდაცვალების შემდეგ), რომელიც მის შთამომავალს, ბატონი გივის შვილიშვილს, ბატონ გივი ელიავას გადაეცა. (სამუზეუმო პრემია გაიცემა წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის 18 მაისს).
3. **2023 წლის 9 ივნისს** დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმის ულისწულ ნიკო დადიანის სამეჯლისო დარბაზში ჩატარდა ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯისა და მუზეუმის ერთობლივი პროექტის დასკვნითი ნაწილი - "როგორ ვიმუშაოთ ავთენტურ დოკუმენტზე".
4. **2023 წლის 9 აგვისტოს,** დადიანების სასახლეთა ისორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, USAD საქართველოს ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში შედგა შეხვედრა, **USAID Georgia HICD Activity**- ისა და საკონსულტაციო **ორგანიზაცია ჯეპრა • Gepra** -ს წარმომადგენლებთან. ორგანიზაცია ,,ჯეპრამ" წარადგინა ინტერვიუებისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. განხილულიქნა ზოგადი ხედვისა და პოზიციონირების განსაზღვრა და ერთობლივად მომზადდა საკომუნიკაციო სვოტ ანალიზი.
5. **2023 ნლის 24 აგვისტოს,** შოთა რუსთაველის, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეში **პროფესორმა გიორგი კალანდიამ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე ,,ლევან დადიანის სტილი ქართულ მოდაში".**
6. ადგილობრივი რადიო „ათინათი" და მუზეუმმა ერთად დაიწყეს მუშაობა პროექტზე „დადიანების სასახლეთა საგანძური". პროექტის ფარგლებში , რადიო „ათინათი"-ს ეთერში ყოველ სამშაბათს 18:18 საათზე მუზეუმის **დირექტორი ანზორ ოყუჯავა** რადიო მსმენელს ესაუბრება მუზეუმის ექპონატების შესახებ, საზოგადოებას უყვება მუზემში მომუშავე ღვაწლმოსილი ადამიანების ისტორიას და დეტალურად განიხილავს სასხლეში დაცულ ექპონატებს. პროექტის ფარგლებში ჩაწერილია 23 გადაცემა, საიდანაც 18 გახლავთ აუდიო გადაცემა ხოლო 5 არის ვიდეო სიუჟეტი.

დასასხრულს მოგახსენებთ, რომ დადიანების სასახლეთა იატორიულ არქიტექტურულმა მუზეუმმა უკვე ტრადიციულად უმასპინძლა პროექტს **„საშობაო მეჯლისი დადიანების სასახლეში"** , რომელიც მესამედ ჩატარდა. 2023 წელს გადაღებული მეჯლისის მთავარი თემა

გახლდათ ქართული ოპერა. 2023 წელს პირველად მეჯლისში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა რაც ნამდვილად საოცარი სანახაობა გამოვიდა.

„საშობაო მეჯლისი დადიანების სასახლეში“ სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ